- მუღტინაციონაღური კომპანიებისთვის ეს არის იმის გარანტია, რომ თავიდან იქნება აციღებული ორმაგი დაბეგვრა.

- ბიზნესსაზოგადოებისთვის ეს არის დამატებითი მოტივაცია კანონმდებღობის ნებაყოფღობით შესრულების წასახაღისებღად.

ვრცელი და ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეიძღება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129 მუხღებში და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წღის 18 დეკემბრის N423 ბრძანებაში.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
REVENUE
SERVICE

IN COOPERATION WITH

WORLD BANK GROUP
IFC International Finance Corporation

2016 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘ

პუბღიკაცია შეიმუშავა საქართველოს შემოსავღების სამსახურმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პროექტთან თანამშრომღობით. პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო, BP და მისი პარტნიორები ნავთობისა და გაზის პროექტებში.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
REVENUE
SERVICE

IN COOPERATION WITH

WORLD BANK GROUP
IFC International Finance Corporation

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
REVENUE
SERVICE

IN COOPERATION WITH

WORLD BANK GROUP
IFC International Finance Corporation

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ბიზნესპრაქტიკაში ხშირია ისეთი ოპერაციები, რომლებიც საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების სახელითაა ცნობილი.

ამიტომ, საგადასახადო ორგანოები დადგნენ იმ აუცილებლობის წინაშე, რომ საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები მოექცეს სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოში, რათა აღნიშნული ოპერაციები შედარდეს დამოუკიდებელ ტრანზაქციებს/ოპერაციებს და დადგინდეს საბაზრო პრინციპთან მათი შესაბამისობა.

რა არის კონტროლირებული ოპერაცია?

- ეს არის ურთიერთდამოკიდებული პირებს შორის ოპერაცია;
- ისეთი ოპერაციაა, სადაც გარიგების ერთ-ერთი მხარე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტია;
- ეს არის სათავო ოფისსა და მის მუდმივ დაწესებულებას შორის განხორციელებული ოპერაცია.

კონტროლირებული ოპერაციები მოიცავს ყველა სახის ოპერაციას, მათ შორის, საქონლისა და მომსახურების გაყიდვისა და შესყიდვის ოპერაციებს, ფინანსურ ოპერაციებს და არამატერიალურ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

რა ვალდებულება აკისრია გადამხდელს, რომელიც საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებს განახორციელებს?

გადასახადის გადამხდელი, რომელიც ახორციელებს კონტროლირებულ ოპერაციას, ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს ის დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ მის მიერ განხორციელებული ოპერაცია შეესაბამება საბაზრო პრინციპებს.

რა საბუთები უნდა წარადგინოს გადამხდელმა?

გადამხდელი ვალდებულია წარადგინოს:

- დოკუმენტაცია საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერის შესახებ;
- დოკუმენტაცია განხორციელებული ოპერაციის პირობების შესახებ;
- დოკუმენტაცია, რომლითაც საბუთდება გარიგების შეფასების შერჩეული მეთოდის სანდოობა და სხვ.

თუ აღნიშნული დოკუმენტაცია მომზადებული იქნება გადამხდელის მიერ, იმის დასამტკიცებლად, რომ კონტროლირებული ოპერაციის პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, მტკიცების ტვირთი გადადის საგადასახადო ორგანოზე.

დოკუმენტაციის შესახებ ვრცელი და ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეიძლება ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის N423 ბრძანების მე-17 მუხლში.

რა უფლებები აქვს გადამხდელს?

- გადასახადის გადამხდელს ეძლევა უფლება, წარმოადგინოს საკმარისი ინფორმაცია და არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, რომ მის მიერ განხორციელებული კონტროლირებული ოპერაცია შეესაბამება საბაზრო პრინციპს.
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა საწარმოებს უფლებას აძლევს განაცხადი გააკეთონ ოპერაციების წინასწარი შეფასების შეთანხმებებზე.

რატომ არის ბიზნესისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეფექტიანი აუდიტი?

- საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეფექტიანი აუდიტი ბიზნესისთვის ქმნის სტაბილურ სამართლებრივ გარემოს.
- კონტროლირებული ოპერაციების აუდიტის შესაძლებლობა ასევე მნიშვნელოვანი საფუძველია კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს ჩამოსაყალიბებლად. შედეგად, საშუალო და მსხვილ ბიზნესს შესაძლებლობა ეძლევა, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასებისას თანაბარ მდგომარეობაში იყოს მულტინაციონალური კორპორაციების ჯგუფის წევრ კომპანიებთან.